# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი | ხუთშაბათი. მარტი 18 1920 წ. № 59 | ფასი 5 მან.



კინემო-მინიონი | ამ დღეებში!! საქ. საზ-ბა „ფილმა“ გამოცემა თბილისში

# მითხარი რისთვის?

(ნოკტურნი შოპენის) (დრამა 5 ნაწილად) ამ დღეებში


ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილისა შვილებით და შვილიშვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, მისი ძვირფასი შვილიშვილის

## ეკა მირსკის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება იქნება ზუბალაშვილის სახლობის სამაზრო საავადმყოფოდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. 18 მარტს ხუთშაბათს 2 საათზე. 2984 1—1


კვირას 7-ს მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მეხაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მეურნეობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობს ილებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი ნიკო ქაიშაური 4—3—17

## სახელმწიფო თეატრი

ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს მარტის 18-ს

ივ. ხარაჯიშვილის ბენეფისი

ჭუჭენოტები


## საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო

# ბანკი

## (ცენტრობანკი)

### ძირითადი თანხა 30.000 000 მან.

1920 წლის 21 მარტს (კვირას), დილის 12 საათზე, ცენტრობანკის ბინაზე (პუშკინის ქუჩა № 3) დანიშნულია ხსენებულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება ბანკის მოწყობის შესახებ.
2. 1920 წლის ხარჯ-აღრიცხვა.
3. ბანკის გამგეობისა, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა და
4. საკითხები.

შენიშვნა: თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა სა ზოგადო კრების დღემდე.

შაბათს, 1920 წ 20 მარტს, საღამოს 6 საათზე ცენტრო-ბანკის ბინაზე შესდგება საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა.

51 2—1 ცენტრო-ბანკის საორგ. კომიტეტი.


## ქართული კლუბი

ხუთშაბათს 18 მარტს

ქართული დრამატიული სტუდიის წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

# ივერიძის ოჯახი

დრამა 3 მოქ. გადმოკეთებული ვ გუნიას მიერ.

მონაწილეობენ: ქ ნნი ვ. ანჯაფარიძე, ბ. გამრეკელი, ქიქოძე ალისა, ქიქოძე ან., ციმაკურიძე ელენა, ჩარკვიანი და ეპიტაშვილი.

ბ-ნნი გელოვანი მ., ვასაძე, ფრონისპირელი და მ. ჭიაურელი.

რეჟისორი მ. ქორელი

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 49 3—3

კინემო მინიონი | მარტის 17, 18, 19 და 20

რიმსკი კანოვი | ლისენკო | კარამანოვა და გაპუევი

ა. პაზუხინის რომანის მხატვრული ინსცენიროვკა

## „მებატონე ოსორკინი“

დრამა 5 დიდ ნაწილად.

დასასრულ სანახაობითი და კომიკური.

მიხეილის აპოლო
პლეხანოვის ქ. 91

დღეს იდგმება გრანდიოზული სურათი 1000 ზე მეტ კაცის მონაწილეობით ეროვნულ კოსტიუმებში

## „ისრაელთა პალესტინის დაცემა“

(განთავისუფლებული იერუსალიმი)

1) ჯვაროსნების გალაშქრება იერუსალიმზე.
2) ბრძოლა ... და ძველი ... 
3) სასტიკ... ვნა ებრაელ ერის წინააღმდეგ.
4) იერუსალიმი ცეცხლსა და მახვილ ქვეშ.

სიმფონიური ორკესტრი | ფასები არ არის აწეული.


## კახეთ მევენახეობის კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 28 მარტს ქ. თელავში დილის 9 საათზე დანიშნულია

## წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია:
1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1918—19 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1919—20 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა.
4. გამგეობისა და საბჭოს მოხსენება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და დამტკიცება.
7. ორი გამგეობის წევრის არჩევა ნაცვლად თავის ნებით გასულ ისტ. მიხ. პატაშვილისა და რიგით გასულ ილ. გ. სიმაღაშვილისა
8. საბჭოს ორი წევრის არჩევა.
9. სარევიზიო კომისიის სამი წევრთა არჩევა;
10. მიმდინარე საკითხები.

ეს კრება მეორეა და კანონიერი, რამდენ წევრიც კი დაესწრება.

51 1—1 გამგეობა


## სავაჭრო „მეურნე საქმე“ სახლი

სასახლის ქუჩა № 4 ტელ. 19—09.

აცხადებს მყიდველთა ყურადღებოთ, რომ მას აქვს მიღებული დიდძალი ჩეშუთი ყოველგვარი ქართლიულის, სტოლსაფრები, ზეწრები, ძაფებმალის ჭურჭლეულობა, ბოქლომები, ჯიბის დანა, სამართებლები, ქლიბები ყველა ზომის და ყოველგვარ განქანების სარტყლები, ფეხსაცმლები ქალის და კაცის, ფეხსაცმის ლაქები, შეკეროლი ქალების კაბები და კოსტიუმები და ბევრი სხა და სხვა საქონელი. ყველა საქონლები ინგლისური ნაწარმოებია, გაყიდვა მხოლოდ პარტიობითაა. ფასები კონკურენციის გარეშე.

კონტორა გაღებულია დილის 10 3 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდის

45—5 4 სავაჭრო სახლი „მეურნე საქმის“ გამგეობა


აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტთა ჯგუფის

ყოველთვიური სამეცნიერო, ლიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

## „მომავალი“

სარედაქციო კოლეგია მოუწოდებს სტუდენტებს, მოაწოდონ შესაფერისი მასალები.

მასალების გამოგზავნა შეიძლება დროებით კონტორა „განათლებაში“, ოლღას ქუჩა 6.


სახლები, მამულები, აგარაკები, საადგილ-მამულო და ზღვის სანაპირო ადგილები

თბილისში და სრულიად კავკასიაში, სამრეწველო და სავაჭრო საქმის ჭერა, ქარხნები, ფაბრიკები და ყოველგვარი ნივთეული შეიძლება სასწრაფოდ და ხელსაყრელ პირობებში

## იყიდება

ინტელიგენტთა ჯგუფის

საშუალებით, რომელთაც სოლიდარული კლიენტურა აქვთ.

დიდი მოთხოვნა და შეძლევა.

დავითის ქ. № 3, ბინა 2.
11—2 და 5—7 საათ.
ტელეფ 2—28. 2985 1—1

მედიცინის დოქტორი

## მ. ა. ახვერდოვი

პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი, დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან. შესავალი ეკლესიის ქუჩის კუთხიდან.



## ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 21,)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

სადილები

დღეს ახალი პროგრამაა

1) ვიტრინაში (მუს. ესკიზი)
2) არატაპლანი (ბალადის ინსც.)
3) იუმორესკი
4) დენდის სიმღერები ს. კარონას

საუკეთესო შემსრულებელი სალონის ცეკვათა

ტრუზი და ვალტე

დასაწყისი 11 საათზე

ანონსი კვირას 21 მარტს
გრანდიოზული საღამო
„ცისფერი ყანწები“-ს

ფოტოგრაფიული მასალები: ფოტონები, ღია წერილები, გამადიდებელი ქაღალდები და სხ.

## პარფიუმერია

ინგლისურ და ფრანგულ საუკეთესო ფაბრიკებისა, სურნელები კოტის, მოოელის, კლევერის, ჰერისის საპირფარეშო საპონი, პუდრი და სხ. Nendon ინგლისური სხვა და სხვა ფერისა ქალთა და ვაჟთა საკაზეებისათვის

ა. მ. სმოლენსკი და ლ. ი. პალანიკოვი.

რუსთაველის პროსპექტი (გოლოვინ. ქ. № 21, არტისტიულ საზ ების სახლი.



პირველ-ხარისხოვანი

## ცირკი „ტრისტენს“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

ხუთშაბათს მარტის 18 ს 1920 წ.

შესდგება დიდი წარმოდგენა მთელი დასის, ახალი №№-ებისა და ცნობილ დანელ სალონის აკრობატების მონაწილეობით

კლაი და კლაი

ცნობილი რომაელი გლადიატორები 2—გლორიო—2 ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წლის მსოფლიო ფალავნის სახელწოდების მისაღებად არბიტრი: კვიატკოვსკი

1) გადამწყვეტი რევანში—ჭიდაობა ჩენჯა ალის დაბეჯითებითი მოთხოვნით, უკანასკნელმა განაცხადა, რომ შავი ნილაბის საეჭველი მისადმი არ იყო კითილ შობილი, რადგან მან იმ დროს წამაქცია, როდესაც მე არბიტრისკენ მქონდა ყურადღება მიქცეული, რომელიც მე შენიშვნას მაძლევდა, ამიტომ ეს ჭიდაობა დღიისთვისაა დანიშნული. ჩენჯ ალი—შავი ნილაბი მე 2-ე ჭიდაობა ჩემპიონატს გარეშე მოჭიდავე და ამერიკელი ბოქსიორი ხმით ვენტერგარდი — ჯიოვანი მწვანე ნილაბი — მაკაროვი

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ◆ პარადი—10 ნახ. საათზე.

ანონსი: ამ დღეებში ცნობილ იუმორისტისა და სალოტომორტალისტის ლეონიდ ლანსკის და ცნობილ იაპონურ სასახლის დასის ნაიტოს გასტროლები გაიმართება. ამ დღეებში ფრანგულ ჭიდაობის მსოფლიო ტექნიკის ევროპის ფალავნის პავლე ზაგორუიკოს ბენეფისია.

გამგე: იურიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათომს ვთმობენ! ბათომს ვერ დავთმობთ!

## დღეს

ბოლშევიკები ქ. ეკატერინოდარს მიაწიწნენ.

ბერლინში გერმანელ მუშებსა და ჯარის შორის შეტაკება მოხდა.

ჰოლანდიის მთავრობამ ვილჰელმის დაცვა გააძლიერა.

ფრანგულ გაზეთების სიტყვით, გერმანიის კონტრ-რევოლუცია მსოფლიო ზავს ემუქრება.

ფლორენციის შეტაკებები სისხლის ღვრით დასრულდა.

## წერილები:

მეთაური—ბათომს გვართმევენ.

— ჩიჩერინის ნოტა.

— მონარქიული მოძრაობა გერმანიაში.

— კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში.

შალვა ამირეჯიბი—ასიკო ერისთავის ხსოვნას.

— ვაჭრობა-მრეწველობა.

## ბათომს ვერ დავთმობთ!

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ყველა ის ცნობები, რომელიც მან ბათომის შესახებ მიიღო.

ბათომს გვართმევენ!—აი შინაარსი, იმ განცხადებების, რომლითაც ანტანტის წარმომადგენლებმა დიპლომატიური თავაზიანობით მიმართეს საქართველოს მთავრობას.

„თანახმად უმაღლესი საბჭოს თებერვლის 24-ს დადგენილებისა, ბათომის პორტი, ქალაქი და მისი გარშემო მცირე ზონა, შეადგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მეურვეობის ქვეშ და დაჭერილი იქნება ინტერნაციონალური რაზმით"—ეს არის ყველაზედ უფრო გარკვეული განცხადება, ანტანტის წარმომადგენელთა.

ბათომი—პატარა სახელმწიფოთ! ნუ თუ სასაცილო არ არის და ნუ თუ თვით ასეთი იდეის ავტორებსაც არ ეცინებათ, მათგან შექმნილ მდგომარეობის გამო?

თუ საქართველოს დასცინოდნენ, და ერთ ერთ საბუთად მისი დამოუკიდებლობის აღიარების წინააღმდეგ სწორეთ ამ საბუთს ასცნობდენ, რომ საქართველოს, როგორც პატარა სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს, ნუ თუ მის ჩამონაგლეჯი ბათომი, თავისი პორტით და „მცირე ტერიტორიალურ ზონით", შეიძლება შეიქმნეს სახელმწიფოთ.

არა! ეს ისეთი უტოპია არის, რომლის ალბათ არავის არ სჯერა, მაგრამ მაინც ახორციელებენ?

რაშია საქმე?

„უმაღლეს საბჭოს" გარდაწყვეტილება ბათომის შესახებ დაკმაყოფილებაა იმ სახელმწიფოთა და წრეებას მოთხოვნილებისა, რომელნიც იმისთვის იღწვოდენ, რომ საქართველოს არსებობა როგორმე მოესპოთ. და მათ სწორი მიზანი ამოიღეს თვალში: უბათუმოთ საქართველოს არსებობა არ შეუძლია და ან ბათომი უნდა შემოგვიერთდეს, ან და საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაიწირება!

უმაღლეს საბჭოს გარდაწყვეტილება—ბათომი თავისუფალი პორტი—იმას ნიშნავს, რომ ბათომი ჩამოგვეცალოს.

ქართველი ერი ასეთ გარდაწყვეტილებას ვერ შეურიგდება!

ჩვენ ვიწვევთ მთელს ერს, მთავრობას და მთელს საქართველოს, მთელი თავისი აღშფოთებით შეხვდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი მკვლელობის განზრახვას!

დღეს საბედისწერო წამი დადგა ჩვენს წინაშე და ჩვენც უნდა გავამართლოთ ჩვენი არსებობა!

## ჩიჩერინის პროკლამაცია

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარის ნოტა, საქართველოს მთავრობისადმი მიმართული, რომელიც პროკლამაციას უფრო ჰგავს, ვიდრე დიპლომატიურ მიწერ მოწერის მაგალითს.

ბოლშევიკების დიპლომატი, მთელი რიგი დაუსაბუთებელი ბრალდებებით, რომელიც უხვად შეუკრეფია იმ ხმებისაგან, რომელსაც ავრცელებენ საქართველოს შესახებ, მისით უკმაყოფილო ელემენტები, თავს ესხმის საქართველოს და, ითხოვს მისგან რომ ისეთ ავანტიურაში გაება, რომელიც უსათუოდ დამღუპველი იქნება ქართველი ერისათვის.

ბ-ნი ჩიჩერინის სამივე მიმართვაში საქართველოს მთავრობის მიმართ, მხოლოდ ერთი და იგივე წინადადება: შეუკავშირდეთ მოსკოვის ბოლშევიკების ჯარებს რუსეთის რეაქციონერების წინააღმდეგ.

საქართველომ, ბოლშევიკებს ყოველ წინადადებას გარკვეული პასუხი გასცა და აცნობა, რომ მისთვის სრულებით უცხონი არიან, როგორც რუსეთის რეაქციონერები, ისე მათი მოწინააღმდეგე ბოლშევიკები და, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ და ნეიტრალურ სახელმწიფოს, არ შეუძლია, უცხო სახელმწიფოს შინაური საქმეებში ჩაერიოს.

რომ ბოლშევიკები მართლა სცნობდენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან მეზობლური კავშირის დაჭერას ფიქრობდენ, ისინი უთუოდ გაიგებდენ, რომ საქართველომ ასეთივე პასუხი გასცა ყველას, ვისაც კი უფიქრია რომ, რომელიმე სამხედრო კომბინაციაში გაება იგი—მაგრამ ბოლშევიკებს სხვა მიზანი აქვთ: მათი თვალი დღეს აღმოსავლეთს გასცქერის და, ევროპაში სასტიკათ დამარცხებულნი, აღმოსავლეთში ფიქრობს ჰპოვოს გამარჯვება, და ევროპის კომპენსაციათ, ისლამით დაწყრული მაჰმადიანობა დაატყვევოს ბოლშევიკების მაცდურ რკალში.

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გზაზედ არის მოქცეული რუსეთისაგან მაჰმადიანობისაკენ და ამიტომ არის, რომ ასეთი დიდი თვალებით შემოგვცქერიან ჩვენ მოსკოვიდან. ბოლშევიკებმა გაიგეს, რომ მოლაპარაკებით საქართველოსთან ვერას გახდებიან, რადგან საქართველოს არც მუსულმანური ჩალმა ახვევია და რუსულ მუჟიკურ იდეასაც იმდენათ დაშორებულია, რომ ადვილათ ვერ წამოეგება მოსკოვის ანკესზედ; ამიტომ გააცხარა საბჭოთა რუსეთმა კამპანია საქართველოს წინააღმდეგ.

ჩიჩერინის ნოტა—ერთი იმ საბუთებათაგანია, რომლითაც იბრძვიან ბოლშევიკები; მისი ზერელე წაკითხვაც კი, საკმარისია, რომ ავტორის განზრახვა გაიგოთ: ბოლშევიკები აღარ სჯერდებიან საქართველოში გამოცემულ პროკლამაციებს და, ეხლა რადიოთი აგზავნიან ასეთივე პროკლამაციას საზუმარო ლექსებთან ერთად, რომ საქართველოს მთავრობის ხელით გაავრცელონ იგი ქართველ ხალხში.

ჩვენ არ გვიკვირს ბოლშევიკების ხრიკი, ჩვენ საქართველოს მთავრობის სიბეცე უფრო გვიკვირს, რომ ამ ხრიკში მოექცა და ბოლშევიკური პროკლამაცია თავის დეპეშათა სააგენტოს საშუალებით გაავრცელა.

## მონარქიული მოძრაობა გერმანიაში

გერმანია კიდევ მოექცა ევროპის პოლიტიკის ცენტრში. უკანასკნელ რადიოთი მოტანილ ცნობებით გერმანიაში მონარქიული მოძრაობა დაიწყო.

აჯანყებული გენერლები იმარჯვებენ კიდეც, და ძველი ებერტ-ბაუერის მთავრობა ბერლინიდან დრეზდენში გაქცეულა.

დამატებით ცნობებით ახალი მოძრაობის სათავეში ჩამდგარა ადმირალი ფონტირპიცი, „წყალქვეშა ნავებით ომის" ავტორი და მეთაური პანგერმანული ალარმიზმისა; აჯანყებულები პრეზიდენტათ ასახელებენ გენერალ ჰინდენბურგს;

მოულოდნელი რასაკვირველია ამ ამბებში არაფერია.. პირიქით გადატება გერმანულ პოლიტიკის აქამდისაც უნდა მომხდარიყო.

რუსეთის დროებითი მთავრობა, მენშევიკ-სოციალ-დემოკრატების მეთაურობით, მხოლოდ ექვსი თვე არსებობდა; გერმანიაში კი დღეს დამხობილი მთავრობა, თითქმის ორი წელი ინახავდა ძალა უფლებას.

მხოლოდ გამარჯვებულ ანტანტის მიერ შექმნილ პირობებს შეეძლოთ გაემაგრებიათ ეს მთავრობა და როგორც კი გერმანია შედარებით ნორმალურ მდგომარეობაში ჩადგა სწორწონობა მაშინვე დაირღვა.

გადატრიალება შეიძლებოდა ორნაირი—ან მარჯვნივ და ან მარცხნივ.

სპარტაკელებმა რუსი კომუნისტების გავლენით და გაპირებით, მეფერიცადეს ძალა უფლების ხელში ჩაგდება—მაგრამ ეს ვერ შესძლეს—გერმანელ ხალხის ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი მილიტარისტულ გერმანიის იდეა და რუსეთის დაღუპვის მაგალითი ვერ აკრთოვანებდა ვერავის.

მეორე მხრივ სწორეთ ეს მილიტარისტული სულია იმის მიზეზი, რომ დღეს გერმანიაში მონარქიის რესტავრაცია ხდება; არაფერი გასაკვირი არ იქნება თუ მოძრაობას თვითონ ვილჰელმი ჩაუდგა სათავეში. ებერტის მთავრობა მიმართავს მუშებს მოწოდებით კონტრ რევოლუციასთან საბრძოლველათ, მაგრამ, როგორც სჩანს მუშები მათ აღარ მიყვებიან—ძველ მთავრობას საკმაოთ გატეხილი აქვს სახელი, რომ შეეძლოს რევოლუციონურ აღფრთოვანების გამოწვევა.

მომავალი გვიჩვენებს როგორ შეხვდება ამ გადატრიალებას გერმანელი ხალხის უმრავლესობა, ჯერჯერობით კი ირკვევა, რომ სამხედრო პარტიას აქვს დიდი ორგანიზაცია, კარგი მეთაურები და პირველი გამარჯვების უპირატესობა, რაც შეიძლება გადამწყვეტი ყოს ასეთს დროს.

## ახალ სახელმწიფოთა წარმომადგენლები—იტალიის პარლამენტს

1919 წლის ქრისტეშობისთვეს იტალიის პარლამენტში შეტანილ იქმნა შეკითხვა მისი პოლიტიკური დამოკიდებულობის გამო ახალ თვითგამორკვეულ ერთად ყოფილ მეფურ რუსეთის ტერიტორიის სახელმწიფოებისადმი.

მთავრობამ ამ შეკითხვაზე გასცა პასუხი განცხადებით, რომ ის აწარმოებს თავის საგარეო პოლიტიკას ანტანტის პოლიტიკის მიხედვით. მაგრამ ამ შემთხვევაში თავის მხრივ პირად მზად არის მხარი დაუჭიროს ახლად გამორკვეულ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. ის განცხადება მოწონებულია იტალიის პარლამენტისაგან 1919 წლის 13 ქრისტეშობისთვეს.

რომში მყოფ წარმომადგენლებმა აზერბაიჯანისა, საქართველოსი, უკრაინისა, ლიტვისა და ლატვიისამ ამის გამო იტალიის პარლამენტის თავმჯდომარეს შემდეგი განცხადება გაუგზავნა.

„ბატონო თავმჯდომარე, ჩვენ წარმომადგენლები აზერბაიჯანისა, საქართველოსი, ლიტვისა, ლატვიისა და უკრაინისა თქვენის სახით ვესალმებით იტალიის პარლამენტს პირველ პარლამენტს მოკავშირე სახელმწიფოთაგან, რომელმაც 13 ქრისტეშობისთვის დღიურ წესრიგში აღიარა რუსეთის ყოფილ იმპერიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოების თავისუფალი არსებობა.

ერები აზერბაიჯანისა, საქართველოსი, ლიტვისა და ლატვიისა, რომელთაც ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ იშოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ღრმეს მადლობით მიიღებენ იტალიის პარლამენტის დადგენილებას, როგორც უმაღლეს გამოსახვას იტალიის ერის ნებისყოფისას,—ერთა თვითგამორკვევის პრინციპის უსწორო დამცველს როგორც იტალიაში ისე ჩვენს ქვეყნებში.

ჩვენ გთხოვთ თქვენ უარი არ გვითხრათ და გადასცეთ იტალიის პარლამენტს რწმუნებანი, რომ ერთა უფლებების დაცვის პოლიტიკა, დაფუძნებული ასეთ პრინციპზე, იქნება საწინდარი მხურვალე მეგობრობისა და მტკიცე პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებისა იტალიისა და ჩვენი სახელმწიფოთა შორის".

რ. ხან. ბუდაღოვი.—წარმომადგენელი აზერბაიჯანის რესპუბლიკისა.

კ. საბახტარაშვილი. საქართველოს მისსიის მეთაური იტალიაში.

ც. რანცონი—ლატვიის მთავრობის წარმომადგენელი იტალიაში.

შ. ნარიახკას—ლიტვის წარმომადგენელი იტალიაში.

დ. ანტონოვიჩ—უკრაინის მისსიის მეთაური იტალიაში.

## დამფუძნებელი კრება

### 16 მარტის სხდომა

**პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები.**

თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ რეგლამენტის ძალით პრეზიდიუმი ირჩევა ერთი წლით და ვინაიდან არჩეულ პრეზიდიუმმა უკვე შეასრულა ერთი წელი, ამიტომ საჭიროა ახალი პრეზიდიუმის არჩევა.

ს. დემოკ. წინადადებით პრეზიდიუმი უნდა შესდგებოდეს 7 კაცისაგან თავის მხრივ ისინი ასახელებენ ოთხს, თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს; მის უფროს ამხანაგად—ალ. ლომთათიძეს; მდივნად ჯაფარიძესა და მის ამხანაგად ჩიტო შარაშიძის ქალს.

**ესერები პრეზიდიუმიდან გადიან.**

ი. ნუცუბიძე (ს/ერი) აცხადებს, რომ მათი ფრაქცია პრეზიდიუმის არჩევნების დროს თავს იკავებს.

ეროვ. დემოკ. ასახელებენ თავმჯდომარის ამხანაგს—პოფეს. ექ. თაყაიშვილის.

ს. ფედერ.—თავმჯდომარის ამხანაგს—ს. მდივანს.

დასახელებულ კანდიდატებს ცალცალკე უყრიან კენჭს.

ხმების დათვლის შემდგომ გამოირკვა, რომ ყველანი არჩეულ იქმნენ.

**კომისიების არჩევნები.**

თავმჯდომარის ამხანაგი ექ. თაყაიშვილი მოახსენებს კრებას, რომ რეგლამენტასვე ძალით დამფუძნებელი კრების ყველა კომისიები ხელახლად უნდა აირჩეს.

ფრაქციები ასახელებენ თავიანთ წარმომადგენლებს ყველა კომისიებში, კრება კენჭის ყრით ამტკიცებს მათ.

**ეროვნ. დემოკრ. მხრივ კომისიებში შედიან.**

სამანდატო კომისიაში. ა. ასათიანი.
სარეგლამენტო „ გ. გვაზავა,
საკონსტიტუციო „ გ. გვაზავა და სპ. კედია,
საბიუჯეტო „ ნ. ნიკოლაძე და ა. ასათიანი,
სამხედრო „ ს. კედია

ხელოვნების კომისიაში ნაცვლად ბ-ნ გერ. ქიქოძისა შედის ექ. თაყაიშვილი.

გზათა კომისიაში ნ. ნიკოლაძე
იურიდიულში „ ი. მაჭავარიანი
სახალხო განათლების ექ. თაყაიშვილი
შრომის კომისიაში ალ. ასათიანი.
ს ბიბლიოთეკო „ ექ. თაყაიშვილი.
საგარეო საქმეთა გ. გვაზავა
საპროპაგანდო „ ა. ასათიანი
თვითმართველობის ი. მაჭავარიანი
მომარაგების „ ალ. ასათიანი.

**სახელმწიფო ბანკის გამგისა და საბჭოს არჩევნები.**

შემდეგ კრება გადადის სახელმწიფო ბანკის გამგისა და საბჭოს არჩევნებზედ. სარეკომენდაციო კომისია ასახელებს: ბანკის გამგედ იასონ ლორთქიფანიძეს, საბჭოს წევრებად:—1) ვასილ ბერელაშვილს, 2) გიორგი ჟურულს, 3) ნ. ჟაყელს, 4) ადამ ფოროქაშვილს, 5) კონსტ. მესხს, 6) პარ. ჭიჭინაძეს, 7) ნ. ელიავას (საბჭოს თავმჯდომ.), 8) სვ. მდივანს (თავმჯდომ ამხანაგ.), 9) ივანე ცაგარელს.

ს.-დემოკრ. ფრაქციის წინადადებით ნაცვლად ნ. ჟაყელისა საბჭოში შედის დიომ. თოფურიძე.

ფარულ ხმის მიცემით ყველა დასახელებული პირი არჩეულ იქმნა.

## კერზონის სიტყვა

ლორდთა პალატაში წარმოთქმულ თავის სიტყვაში, ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ ადრიონბრივ ჯარების შეტაკება ოსმალეთში საოკუპაციო რაზმთან, ასევე როგორც ანარქია შიგ ოსმალეთში გამოწვეულია ოსმალეთის ხელშეკრულებაში ადრის გადადებით, რაც შეერთებულ შტატების ბრალით არის გამოწვეული სიტყვის დასასრულს ლორდ კერსონმა გამოსთქვა იმედი, რომ საზავო ხელშეკრულების შედგენა უნდა მოხდეს ამ თვის დამლევს რადგან მოკავშირენი ვერ შეურიგდებიან ოსმალეთში მომხდარ ამბებს

ლორდთა პალატაში ლორდ კერზონმა წარმოსთქვა სიტყვა მთავრობის პოლიტიკის დამოკიდებულებაზე ოსმალეთისადმი, რომელშიაც სთქვა, რომ მოკავშირეთა გადაწყვეტილება კონსტანტინეპოლის ოსმალეთთვის დარჩენის შესახებ მიღებულ იქნა მისთვის, რომ ასეთი იყო მთავრობისა და მოკავშირეთა შეხედულება ეს იყო ბუნებრივი შედეგი ჩვენი ჯარების გამარჯვებისა მსოფლიოს ამ ნაწილში.

მაგრამ ჩვენ არ გვქონდა არც სურვილი და არც განზრახვა კილიკიაში დარჩენის. გიორგობისთვეში ჩვენ მოვხსენით ჩვენი დროებითი ოკუპაცია და გადავეცით ეს ადგილი და აგრეთვე მიმდებარე ნაწილი სირიის სანაპიროების ფრანგებს.

ეს მოხდა იანვრის დამლევს, რის შემდეგაც არეულობა დაიწყო. როცა ჩვენ პირველად გავიგეთ მზადებანი ამბოხებისთვის, ჩვენ დაუყონებლივ ფრანგებთან ერთად გავაფრთხილეთ ოსმალეთის მთავრობა კონსტანტინეპოლში. შემდეგ იფეთქა ოსმალთ ამბოხებამ ხარაშში, ეინტაბს და სხვა ადგილებში.

ამავე დროს მოჰკლეს ორი ამერიკელი ჯენტლმენ.

სომხების ჟლეტა, როგორც ცნობილია, დაიწყო ხარაშზე თავდასხმის დროს.

აქ ფრანგები იყვნენ ალყა შემორტყმულნი და გამოსცადეს ყველა საშინელებანი სამთვიან გარემოცვისა.

საკმაო მოწინააღმდეგისაგან ფრანგები იძულებული იყვნენ დაეხიათ. ფიქრობენ, რომ უკან დახევისას მთებში ცუდ ამინდში ფრანგებმა დიდი ზარალი ნახეს.

ჩვენ ვერ გავიგეთ ციფრებს ადამიანთა ამ ზარალისას, მაგრამ უეჭველია რომ ზარალი დიდ მნიშვნელოვანია და რომ ოსმალეთის მხრივ იყო ჩადენილი დიდი დანაშაული.

უმაღლესმა საბჭომ გაიგო რა ეს ამბები, მაშივე მიმართა თავის უმაღლეს კომისრების საშუალებით კონსტანტინეპოლის მთავრობას, თხოვნით მიეღო ყოველნაირი ღონისძიებანი კილიკიასა და კონსტანტინეპოლში დამნაშავეთა დასასჯელად.

ჩვენ შეგვეძლო ჩვენი სამხედრო გემების გაგზავნა კილიკიაში, რომ საამისო ცნობები მაგვილო ჩვენი კომისრების მიერ კონსტანტინეპოლიდან, მაგრამ მოკავშირეთა ყველა უმაღლეს კომისრების შეხედულება ისეთი იყო, რომ ფლოტი მოახდენდა უფრო დიდ შთაბეჭდილებას კონსტანტინეპო და მის სანახებზე, ვიდრე ლივა აღმოსავლეთ ნაპირებთან.

ფრანგებმა სასწრაფოდ გაგზა შვიდი თუ რვა ბათალიონი გენ. როს მოსახმარებლად, რათა მას ლება ჰქონოდა აღედგინა წესიერ უკანვე აელო ხარაში და დიეცვა ქ სტიანები.

კონსტანტინეპოლში მყოფთა ს ყვით, იქ აღიძრა მტრობისა და ვე გობის გრძნობა.

გვაქვს ნათელი მაგალითები ოს ლეთის მთავრობისა და ოსმალე ჯარის მიერ ზავის დარღვევისა: ხ ბოდა ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლ ხდებოდა ურთიერთობანი და იარა გადაგზავნა სატახტო ქალაქიდან მ რე აზიის პროვინციებში. ოსმა ოფიცრები ქუჩებზე ისე იჭერდ თავს, ისე საბაბს იძლეოდენ, სხვანაირად ფიქრი არ შეიძლებ მათზე, თუ არა რომ მათ მოქმედ ზემოდან ვინმე მფარველობდა.

რაც შეეხება სომხეთს, იგი ახლ არსებობს ყოფილ რუსეთის ახლ შექმნილ სივრცეზე, ერევნის გარშ ჩვენვის უეჭველია შევქმნათ სომხ იმ ადგილებში, სადაც სჭარბობს სო ხეთის მოსახლეობა, სადაც ჩვენ შ ლება გვექნება მივცეთ საძლყო ს ღვრები და სადაც ისინი მიიღე ეკონომიურ განვითარების შესაძლ ლობას და გასავალს ზღვისკენ.

დაბრკოლებანი ამ საკითხში მ თვის ხდება, რომ ოსმალეთთან ხე შეკრულობა უნდა დაედვათ ერ წლის წინედ და არა ეხლა.

ვადის გადადება ჩვენი უმოქმედ ბის გამო კი არ მოხდა, არამედ შე თებულ შტატების მოლოდინით.

ვადის გადიდება იყო აუცილებე მაგრამ შედეგები მეტად სამწუხარ მოგვცა.

შეიქმნა ისეთი გარემოება, რო ყველა მოკავშირეებმა გაიგეს, რო ისინი ვერ შეურიგდებიან ოსმალეთ მომხდარ ამბებს.

ჩვენ უნდა ვაიძულოთ ოსმალეთ რომ შეასრულოს ჩვენი საზავო პირო ბები, ხოლო შემდეგ კი საზავო ხე შეკრულობა. ჩვენ უნდა ვეცადნოთ და ეს არის ყველაზე ძნელი მიზან ჩვენთვის შევქმნათ სისხლში დამლე ჩვალ და, უმეტეს ნაწილად განადგუ რებულ ქვეყნებს მომავალი".

## კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში.

**ფრანგული პრესის ცნობა.**

პრეზიდენტმა ებერტმა და კანცლერმა დასტოვეს დრეზდენი, სადაც ნამდვილი მთავრობა შეიკრიბება, და გაემგზავრენ შტუტგარტს, სადაც სამშაბათს ეროვნული კრება უნდა შეიკრიბოს.

სამხრეთ გერმანიის საქსონიის, ბავარიის, ვიურტემბურგის, ბადენის, გესენის მთავრობებმა, ბაუერის მთავრობას ნდობის მანიფესტი გამოუცხადეს.

კვირას პარიზში მყოფმა გერმანიის რწმუნებულმა ინახულა მილიერანი და განუცხადა: გერმანიაში სამხედრო გადატრიალება ვერ გაიმარჯვებს და ბაუერის მთავრობა ერთგულად აასრულებს მოკავშირეების მიმართ დადებულ ვალდებულებებს მოკავშირეები მზად არიან ყოველგვარ შემთხვევისათვის, მაგრამ კონფლიქტში მხოლოდ მაშინ ჩაერევიან, თუ გერმანიაში დამყარდება ჰოგენცოლერნებიდან გამოსული მთავრობა, ვერსალის საზავო ხელშეკრულობისადმი ოპოზიციაში ჩასადგომად.

ჰოლანდიის მთავრობამ გააძლიერა ზედამხედველობა ამერონგენის ციხედარბაზზე, სადაც ვილჰელმი ცხოვრობს. სინდიკალისტების კონფერენციამ საერთო გაფიცვის გამოცხადება გადასწყვიტა, თუ კაპი (?) ელექტრონისა, გაზისა, განათებისა და გზათა მუშები ბერლინში გაფიცულნი არიან.

რეაქციის საპროტესტოთ გაფიცვები ვრცელდება დიდ ქალაქების უმეტესობაში. როგორც მაგ. კილში, ჰამბურგში, კელნში, ფრანკფურტში, ესენში. დიუსელდორფში მუშებსა და ჯარებს შორის შეტაკება მოხდა, მკვდარია 15, დაჭრილია მრავალი.

### მოსკოვის პრესა გერმანიაში მომხდარ ამბების შესახებ.

**სტეკლოვის აზრი.**

„იზვესტიაში" სტეკლოვი ამბების შესახებ სწერს:" ეს უნდა მომხდარიყო და მოხდა სოგლაშატელთა მთავრობას საკუთარი დასაყრდნობი არ ქონდა ბურჟუაზიასთვის ნამეტანი მემა ცნე იყო—პროლეტარიატის თავის კონტრ-რევოლიუციონური და გერმ ნული იყო მხოლოდ იმიტომ, რო ბურჟუაზიას არ შეეძლო დაბრუნებ და უფლებას, და მუშებს კი ჯერ კ დევ ვერ აელოთ ხელში მართველობ

მოსკოვი. (გაგრძელება) მის ქვემო და მის გარშემო არსებობდა სიცარ ერე. ბურჟუაზიას სძულდა ის, პრო ლეტარიატსაც სძულდა და კიდევ ეზიზღებოდა, მთავრობა მხოლოდ მ შათა საწინააღმდეგო რეპრესიები სიცოცხლის ნიშან წყალს აძლევდა თა ვის ცხოვრებას. ნოსკემ შეადგინა თე თრი გვარდია. ის მოწყობილი იყ ბურჟუაზიისაგან და სარდლობდა ი პერიალისტური ძველი ოფიცრები რო დესაც ბურჟუაზიამ სული მოითქ თეთრი გვარდია გამოვიდა და დაი ვა არა შეიდემანი. არამედ თავი თავი, თავისი კლასი, ბურჟუაზიის უ ლება. გადატრიალება მიმართულ მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაგრ ეხლა მუშათა კლასმა წინააღმდეგო არ გაუწია, მაგრამ როდესაც წავა მ შინ წავა თავის ინტერესებისათვი სოციალური რევოლიუციისათვის. გე მანიის კორნილოვშჩინა მხოლოდ შ ასვალია პროლეტარული რევოლიუ ციისა და ის დაიქუხებს, ჩვენ ვგრძნობ მას და ვეუბნებით კონტრ-რევოლიუ ციას რასაც აკეთებ გააკეთე ბარ მალე.

**რადეკის აზრი**

რადეკი „იზვესტიაში" სწერს: სამ ხედრო გადატრიალება წარმოადგე იმ მუჯლუგუნს, რომელსაც მოელოდ ნენ გერმანიის კომუნისტები და რო მელსაც ისინი წინასწარმეტყველებდე როდესაც გერმანიის კაპიტალის დი ტატურას ჩამოეცალა დემოკრატი ნიღაბი, როდესაც ამ დიქტატურა სათავეში ჩაუდგა პრუსიის გენერალ ეხლა მუშების გაერთიანება პროლე ტარული დიქტატურის დროშის გარ შემო ათჯერ უფრო სწრაფად წავ ჩვენ არ ვიცით გერმანიის მუშებს რო გაკეთება შეუძლიათ ამ ჟამათ გერმა ნიის კორნილოვის საწინააღმდეგო

მაგრამ სიტყვები, რომლებიც მე გერმანიის სამხედრო პარტიის მეთაურმა მითხრა: „რკინის გზელს და მადაროს მუშებს ხელი სახელმწიფოს ყელში უჭირავსო, ეს გარემოება ამტკიცებს, გერმანიის კონტრ-რევოლიუციის ბოლოს. გერმანიაში სამხედრო გადატრიალებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გენერალმა ლიტვიცმა ჩამოაგდო რა ნოსკე დახია ქაღალდი, რომელსაც ვერსალის ხელშეკრულება ეწოდება. ის შეიძლება ფიქრობდეს, რომ შესძლებს მოლაპარაკებას მოკავშირეებთან, სანამ ის გერმანიის მუშებზე არ გაიმარჯვებს. შეიძლება მან მათ არ შესთავაზოს ზავი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ მოკავშირეებს არ შეუძლიათ ლიუტვიცს ყვენ, რადგან ლიუტვიცი ვერსალის. (დამახინჯებულია) ცდილობს..

**თბილისში მყოფ იტალიის პოლიტიკურ სააგენტოს რადიო ცნობები**

**მარტის 17.**

**დამშვიდება ბერლინში.**

**ბერლინი**, მარტის 15. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მთავრობისადმი ნდობა ძლიერდება აგრეთვე სამხრეთ გერმანიის ჯარებში. ბერლინში სრული სიმშვიდეა.

**ებერტის მთავრობის მიმართვა ფედერატიულ მთავრობებს.**

**ნიუიორკი.** მარტის 15. ბერლინიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ებერტის მთავრობამ თხოვნით მიმართა ფედერატიულ მთავრობებს, რომ ფონ კაპის მთავრობა არა სცნონ.

**კონტრ-რევოლიუციის დასასრულის მოლოდინში.**

ფიქრობენ, რომ კონტრ-რევოლიუციას ძალა მალე გამოელევა; ყველაზე დიდ საფრთხეს შეადგენს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც უკვე გამოცხადდა უმთავრეს ქალაქებში, ფედერატიული მთავრობები, როგორც სჩანს, ებერტის მთავრობას მხარს დაუჭერენ. „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის საქმეთა რწმუნებული ბერლინში, ახალმა მთავრობამ დაარწმუნა, რომ ის სავსებით დაიცავს საზავო ხელშეკრულების პირობებს. მოკავშირეთა მხრით, გაღებულია ყველა საჭირო ზომები იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმე გართულება მოხდა.

## ცვლილებანი იტალიის მთავრობაში

**იტალიის პოლიტიკურ სააგენტოს რადიოს ცნობა**

**მარტის 15** ნიტტმა მეფეს თხოვნა წარუდგინა კაბინეტის გადადგომის შესახებ.

**მარტის 17.**

**რომი** მარტის 16 შემდეგ ახალი მინისტრთა კაბინეტი ნიტტის თავმჯდომარეობით, [illegible] — გადოებრივ სამუშაოთა; ტაორე—სახალხო განათლებისა, ალესიო—ფოსტა-ტელეგრაფის და რაინერი—განთავისუფლებულ ოლქის მინისტრი. ახალი კაბინეტი დიდი ნდობით სარგებლობს პარლამენტში. დეპუტატთა პალატა მარტის 22 შ. ს- [illegible]

[illegible]

რომი, მარტის 15. მარტის 13-ის საღამომდე სესხზე ხელის მოწერამ 19 ნახ. მილიარდს მიაღწია

# უცხოეთი

## სომხეთი

**სომხეთის სასარგებლოდ**

ყაზვინში სომხეთის წარმომადგენელ არუთიანის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე შეგროვილ იქმნა 4 მილიონი მანეთი სომხის ფულით. იმდენივე თანხა შეგროვილია მეშედში და სხვა ადგილებში.

## აზერბაიჯანი

**ჰაერით მიმოსვლა სპარსეთთან**

ინგლისელ ფირმებმა წინადადება მისცეს აზერბაიჯანის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს აზერბაიჯანსა და სპარსეთს შორის ჰაერით მიმოსვლის დაწყების შესახებ. ამ საკითხის გამო მოლაპარაკება გამართული ხსენებულ ფირმისა და მინისტრის შორის.

**3,000,000 მანეთი საქართველოსთვის**

პარლამენტმა მარტის 11-ს სხდომაზე დაადგინა, გადაიხადოს სამი მილიონი მანეთი საქართველოში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი თანაშემწე**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. ავდასოვის ნაცვლად მის ადგილზე დაინიშნა პარლამენტის წევრი და გაზ. „აზერბაიჯან“-ის რედაქტორი რუსტამბეკოვი.

## რუსეთი

**ასკვიტის განცხადება.**

ასკვიტმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ საჭიროა საბჭოთა რუსეთთან სრულიად თავისუფალი სავაჭრო დამოკიდებულობის აღდგენა. უნდა ვაიძულოთ პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები მისდიონ ესტონეთის მაგალითს და ზავი შეკრან რუსეთთან. მოკავშირეებიც უნდა მოიქცნენ ასევე, რადგან არც მათი ფინანსიური საშვალებანი და არც მათი ხალხის გრძნობები ვერ ამართლებენ რუსეთის საქმეებში ჩარევის აზრს. („იკო დეპარი“)

**გერმანელ კომუნისტთა ახალშენი ვოლგას ნაპირზე.**

გერმანელ კომუნისტთა და საბჭოთა მთავრობის შორის დადებულ ხელშეკრულობის ძალით, რუსეთი დიდძალ ადგილს უთმობს მდ. ვოლგას ნაპირზე გერმანელ კომუნისტებს. უკანასკნელებმა თავს იდვეს ჯერ ჯერობით გაგზავნონ იქ 60,000 გერმანელი კომუნისტი ახალშენის დასაარსებლად. რუსთა მთავრობამ აღუთქვა მათ იმ ადგილებში რკინის გზის გაყვანა, ახალშენელთა ადგ-მიცემობის გასაადვილებლად. („დეილი ნიუს“).

## ოსმალეთი

**ოსმალეთის საკითხის შესახებ.**

„მაკატამარტ“ ის კორესპონდენტი პარიზიდან იტყობინება, რომ ოსმალებმა უნდა დიდი შრომა გასწიონ თავისი სურვილების მინიმუმის მისაღწევად. ოსმალებმა თვისი საკითხი საშიშო მდგომარეობაში უნდა იგულონ, რადგან ფრანგთა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მანამდე საიმედო იყო მათთვის, ფრანგთა ინტერესებს მეტად შეხამებულად სთვლის სომეხთა ინტერესებთან. მეორეს მხრით, ამერიკამ, რომელიც ამ ჟამამდე ძალიან არ იყო დაინტერესებული ევროპიული საკითხებით, უცბად გამოიცვალა თავისი პოზიცია, როდესაც წარმოიშვა სომეხთა საკითხი. ამერიკას, რომელიც მეტად დაინტერესებულია გაერთიანებული სომხეთის ბედ-იღბლით, ჰქონდა გავლენიანი პოზიციის დაჭერა ლონდონში, სომეხთა მასწრაფვებების განსახორციელებლად. (აზს)

**ენვერ ფაშის შესახებ**

**(„Stamboule“ თებ. 25)**

„ერთობისა და პროგრესის“ პარტიამ კონსტანტინოპოლში დაარიგა საიდუმლოდ დამეჭდილი ცირკულიარები, რომელიც „Times“-ის თებერვლის 1-ის ნომრიდან ამოღებულ ყალბ ცნობას შეიცავს. ამ ცნობით, ენვერი ინდოეთში მოქმედობს და ბომბეის უტევს კარგად შეიარაღებულ და მრავალ რიცხოვან „მწვანე“ ჯარის საშვალებით. ამ ჯარმა თითქოს დაამარცხა ბრიტანეთის ჯარები და ქვეყანა მოსრა.

ეს არა სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ამბებმა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის თაყვანისმცემლებში არა ჩვეულებრივი ენტუზიაზმი გამოიწვია. საუბედუროდ თებერვლის 1-ს კვირა იყო და „times“-ის მორიგი ნომერი არ გამოსულა. ამ ცნობებს იმდენი ნდობა არა აქვს ევროპიელთა წრეში, რამდენათაც გაუნათლებელ ოსმალთა წრეში.

ამ დოკუმენტების გამოქვეყნება დამამტკიცებელია, რომ სამარცხვინო ტრიოს ენვერის, თალაათის და ჯემალის გამგზავრების შემდეგ „ერთობისა და პროგრესის“ პარტია კრიტიკულ დღეებს განიცდის; ამ პარტიას ხელმძღვანელობენ უნიჭო და ზნედაცემული პირები, როგორიც ენვერი, თალაათი და ჯემალი იყვნენ.

# ახალი ამბები

## პარტიული ცხოვრება

**მთავარ კომიტეტის სხდომა**

**დღეს, საღამოს 7 საათზე** პარტიულ ბიუროში შესდგება ერ.-დემოკ. პარტიის მთავარ კომიტეტის საწრაფო სხდომა. განსახილველია დაუყონებელი საკითხები დასწრება აუცილებელია.

---

**ეროვნულ დემოკრატ. სტუდენტთა კრება.**

**ხუთშაბათს საღამოს 8 ს. მე 2 რეაუდ.** დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მსმენელთა კრება. ბათუმის საკითხის გამო.

**სტუდ. კომიტეტი.**

## სხვა და სხვა ამბები

**პოლკ. გაბბას ჩამოსვლა.**

გუშინ დილით ბათუმიდან თბილისში დაბრუნდა იტალიის პოლიტიკურ სააგენტოს მეთაური პოლკ. გაბბა. იტალიის მთავრობის ატაშე პოლიტიკურ სააგენტოსთან პოლკ. მიქელი კი ამ დღეებში დაბრუნდება.

**გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან** დაზარალებულთა სასარგებლოდ დიმიტრი ერასტის-ძე ჩოლაყაშვილმა ასი (100) ფუთი სიმინდის ფქვილი შესწირა.

## კრებები

**ამხ. საქ. საშუალო სკოლების** მასწავლებელთა კავშირის წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, მარტის 21 ს დილის 11 ს. ქალთა მე-2 გიმნაზიის შენობაში.

## სამინისტროებში

**აფხაზეთის მამულების იჯარით გაცემა.**

მიწად-მოქმედების მინისტრმა დაამტკიცა სასოფლო სამეურნეო განყოფილების საკრებულოს მიერ მიღებული შემდეგი დადგენილება:

რესპუბლიკის ფინანსიურ დაბრკოლებათა აფხაზეთის კულტურულ მამულთა პრობლემატიურ შემოსავლიანობის გამო, შესაძლებლად იქმნას ცნობილი იმ მამულების იჯარით გაცემა რომელთა რესპუბლიკის საკუთარ ძალებით ექსპლოატაცია არ არის განზრახული.

გამოყოფილ იქმნას წინასწარ ფონდში გადასაცემი ტყიანი მიწის ნაკვეთები და დანიშნულ იქმნას აგრეთვე მომავალში სადემო დაწესებულებათა და სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების გასახსნელად საჭირო მიწის ნაკვეთები.

ყოფილ მესაკუთრეთ მხოლოდ მაშინ მიეცეს იჯარით მამული, თუ მეურვეთ რომელიმე საზოგადოებრივი და კერძო მწარმოებელი არ აღმოჩნდება.

**სამეურნეო იარაღების შეძენა**

მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს 100,000 ფრანგული მარკის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო იარაღების და ხელსაწყოების შეძენა, რისთვისაც ბათუმში იგზავნებიან მცოდნე პირები.

**საერობო სამკურნალო დაწესებულებათა სახელწოდების შეცვლა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში იმყოფება ამ ჟამად რამოდენიმე საერობო სამკურნალო დაწესებულება. ზოგიერთ ამ დაწესებულების დღემდე შერჩა ძველი სახელ-წოდება, მაგალითად: მიხეილის სახელობის საავადმყოფო და ოლღას სახელწოდების საბებიო ინსტიტუტი. რადგან ეს სახელწოდება ძველი წყობილების ნაშთია და იმავე დროს ყოფილი მეფის ოჯახის წევრთა სახელების მატარებელია, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საერობო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ზემოდ-დასახელებულ დაწესებულებათა სახელწოდების შეცვლის შესახებ. განზრახულია მიხეილის საავადმყოფოს ეწოდოს: რესპუბლიკის ცენტრალური საავადმყოფო, ხოლო ოლღას საბებიო ინსტიტუტს კი საბებიო ინსტიტუტი.

## თ-დი ასიკო ერისთავი

15 მარტს თბილისში მიიცვალა სამოცდაათი წლის თავადი ალექსანდრე ბიძ ნას-ძე ერისთავი. ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენი ინტელიგენციის ზრდისთვის, ასიკო ერისთავის მოკრძალებული და მდიდარი პიროვნება, სამოციან წლების ლიბერალურ აზროვნებით გაშუქებული, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. პეტროგრადის უნივერსიტეტიდან დაბრუნებული ის თბილისში არ დარჩა და თავის სამშობლო ს. რეხაში დასახლდა. მაგრამ მისი სოფელში ცხოვრება მარტოდენ მემამულის სოფელში ცხოვრებას არ ჰგავდა. განვითარებული საუკეთესო მცოდნე იყო ჩვენი სოფლის ავ-კარგიანობისა და მუდამ მხარში უდგა როგორც ხელის გამართვით, აგრეთვე დარიგებით სოფლის მცხოვრებთ. გლეხობას გულწრფელად და უანგაროდ უყვარდა ამისათვის განსვენებული და რამდენჯერმე მამასახლისადაც ყოფილა იმავ გლეხობისგან არჩეული. იგი დიდად აფასებდა ხალხის ასეთ ნდობას მისადმი და სათაკილოდ არ მიაჩნდა ასეთი სამსახური ჩვენ ბნელსა და უვიც სოფელში. მაგრამ მუდამ სოფელში მცხოვრებს, არასოდეს არ დაუკარგავს ნამდვილი სახე ინტელიგენტისა და მუდამ დიდი კავშირი ჰქონდა თბილისთან, ქართულ საზოგადო დაწესებულებებთან და მთელ ინტელიგენციასთან.

ამ მხრივ მისი სოფელი რეხა პირდაპირ განთქმული იყო უკანასკნელ დრომდე. აქ, ქართლის შუა გულში, ქალაქ გორიდან შვიდ ვერსზე, თავს იყრიდა რაც კი გამოჩენილი და საინტერესო იყო, ამ ათი-ხუთმეტი წლის წინად. პირადად მე ბევრი ჩვენი მოღვაწე, მწერალი, მსახიობი, მუსიკოსი და საინტერესო წევრი ჩვენის საზოგადოებისა პირველად აქ ვნახე. მას დიდი მეგობრობა ჰქონდა განსვენებულ პროფ. ალ. ხახანაშვილთან და მუდმივ მასთან მიწერ-მოწერაში იყო. როდესაც განსვენებული, ქათალიკოსი კირიონი, ჯერ კიდევ ეპისკოპოსი, გარდახვეწილი იყო, ასიკო ერისთავი ერთი იმ მცირე ქართველთაგანი იყო, რომელიც არ ივიწყებდა მას და მიწერ-მოწერა ჰქონდა. მისი სახლი მარტო გამოჩენილ ქართველებისთვის არ იყო ღია და შლისელბურგის ციხიდან განთავისუფლებულმა ცნობილმა მოროზოვმა პირველი კვირეები თავისუფლებისა მის რეხაში გაატარა. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა მრავალ ცნობილ თანამედროვესთან და მისი კოლექცია წერილებისა, ჩემის აზრით, ერთი უმდიდრესთაგანი იყო ჩვენში. სხვათა შორის მის კოლექციიდან იყო რამდენიმე წერილი ილია ჭავჭავაძისა, რომელიც გედევანიშვილის გამოცემას აქვს დართული. დიდის სიყვარულით აგროვებდა წიგნებს და მის მდიდარ ბიბლიოთეკაში ბევრი იშვიათი გამოცემა ითვლებოდა, როგორც ქართული, ისე რუსული.

საშინელმა მიწის ძვრამ ბოლო მოუღო მის სახლს რეხაში და ბიბლიოთეკა და წერილების კოლექცია დაიღუპა.

ამ სამი მღელვარე წლის განმავლობაში, ის ისევ თავის რეხაში სცხოვრობდა, როგორც გამონაკლისი სხვა მემამულეთა შორის და იმავე აზრებით ღელავდა, რითაც მთელი საქართველო. მე მახსოვს მისი უკანასკნელი წერილი გერ. ქიქოძესთან, რომელშიაც განსვენებული ნერვიანობდა იმის გამო, რომ ევროპა აგვიანებდა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას. ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე მეგობრებთან მიწერ-მოწერაში გაატარა, მაგრამ გაზეთში არასოდეს არაფერი დაუწერია, ეხლა, მოხუცებულობის დროს, თხოულობდა, მისი მრისხანე წერილი გაზეთში დაებეჭდილიყო.

განსვენებული ბედნიერი იყო რომ მოესწრო თავის სამშობლოს თავისუფლებას, მაგრამ მან თავის' თვალით ნახა გორის უბედურება და თითონაც მსხვერპლი შეიქნა მისი. როდესაც მან გაიგო რომ მის რეხას ისეთივე ბედი ეწია, როგორც გორს, მან მოისურვა იქ ასვლა. ავადმყოფი და დიდათ დაშინებული მიწის ძვრისაგან რეხაში აიყვანეს. სახლი დანგრეული იყო და ის რასაც მთელი სიცოცხლე უვლიდა. მისი წიგნები, ნანგრევებ ქვეშ მოჰყოლოდა. ავადმყოფი თბილისში ჩამოიყვანეს. აქ თავის ძმისწულ რევაზ ერისთავის სახლში, სამუდამოდ დახუჭა თვალები.

მას ძალიან უყვარდა თავისი რეხა და ანდერძი დასტოვა იქ დაესაფლავებინათ. განისვენე ძვირფასო „ძია ასიკო“ როგორც ყველა შენი მახლობელი გეძახდით შენ, შენს საყვარელ რეხაში, რომელიც ისე გამთბარი და გაშუქებული იყო შენი მშვენიერის გულით და მაღალის აზრებით და სამუდამო იყოს შენი ხსენება ჩვენ შორის.

**შალვა ამირეჯიბი.**

## „ცისფერი ყანწები“-ს საღამოები.

კვირას 21 მარტს „ქიმერიონში“ გაიმართება „ცისფერი ყანწების“ საღამო. ამ საღამოს გარდა განზრახულია მთელი რიგი საღამოების სახელმწიფო თეატრში, კონსერვატორიაში, და მუშათა კლუბებში შემდეგ ტურნე ერევანსა და ბაქოში, საიდანაც „ცისფერ ყანწების“ რედაქციამ მიიღო მოწვევის ბარათები იქაურ ლიტერატურულ წრეებიდან. 21 მარტს საღამოში მონაწილეობას იღებენ არტისტიულ ტფილისის საუკეთესო ძალები, როგორც არტისტები ისე მხატვრები და პოეტები.

## მუნიციპალ მოღვაწეთა ყრილობა

16 მარტს ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნა სრ.-დ საქართველოს მუნიციპალიტეტთა მუშა მოსამსახურეთა ტრამვაისა და ერობის მოსამსახურეთა ყრილობა. ყრილობაზე მუნიციპალიტეტებიდან გამოცხადდა 50 რწმუნებული ერობიდან 14. კრება გახსნა ბ. ბერეჟიანმა და გაუთვალისწინა ყრილობის მიზანი. შემდეგ არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი შემდეგ პირთაგან.

თავმჯდომარედ შ. აბდუშელიშვილი. მის ამხანაგად ბერეჟიანი და მელარიაშვილი. მდივნად შ. თუთბერიძე, ტყემალაძე, რაზმაძე, თათარაიშვილი.

ყრილობას დაესწრნენ და მიესალმნენ სიტყვებით დამფუძნებელ კრების წევრი ონიაშვილი სოც.-დემ. პარტიის სახელით თბილ. ქალაქის თვითმართველობის მხრივ ქალაქის მოურავი ბატონი ბენ. ჩხიკვიშვილი, შრომის სამინისტროდან ბ. ბახტაძე, დამფუძნებელ კრების სახელით ბადრიძე პროფესიონალ კავშირთა მხრივ ხელაძე რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტის მხრივ ცხვერიძე და სხვ. და ბოლოს არჩეულ იქმნა სამანდატო კომისია, რომელშიაც შედიან პაიჭაძე თოხაძე და ხვედელიძე გაეგზავნა მისალმების დეპეშები მთავრობას. სახალხო გვარდიას ლაშქარს და საქართველოს პროფ. კავშირებს.

## განაწამებ გორში

საკუთარ კორესპონდენტისაგან

(გაგრძელება)

**ქალაქში**

ვუახლოვდებით გორს, უპატრონოდ მიტოვებულ ნანგრევებზე დღეს კიდევ ამოძრავებულა მუშაობა. ნიჩბებით და წერაქვ-ლომებით შეიარაღებულნი სოფლელნი უკვე გამზადებულან სტიქიასთან საბრძოლველად ფარეზიანად ა'უფთავებენ ატირებულ კარმიდამოს, არჩევენ გადარჩენილ მასალას და ლუპავენ რაც უკვე შემუსვრილია მათთვის სამუდამოდ.

**დიდი საწყობის აგება**

გორის სადგურზე უკვე აუგიათ დიდი საწყობი. რომელშიც მოთავსებულია მთელი სურსათი სანოვაგე და საქონელი, რომელიც თბილისიდან მოდის დაზარალებულ ქართლისთვის. მთელი დღე საწყობიდან აფარებელი მასალა მიდის დაზარალებულ სოფლებში სასტიკ კონტროლის ქვეშ. საწყობს 24 საათი სდარაჯობს საგანგებო რაზმი.

**ლტოლვილნი ბრუნდებიან**

ქალაქიდან წასულნი ნელნელა ბრუნდებიან. ქალაქის პირას ხიდიდან უკვე ჰხედავთ გაცხარებულ მუშაობას—ფიცრის ოთახებს და ფარდულებს ჰკრავენ სასწრაფოდ.

წვრილ-წვრილი დუქნებიც გაღებულია საწვრილმანოთი. თუმცა დაზიანებულ, მაგრამ ძირის სართულში გადარჩენილ დარბაზში გახსნილა რიგიან სასადილო რესტორანიც მის გვერდით ხორცის დუქანშიც გაჩაღებულა ვაჭრობა. აგერ სადალაქოდანაც ხედავთ გამოსულ წვერ ულვაშ გაკეთებულ გორელსა ი ურმებიც კომბოსტოთი დატვირთული მიმავალნი სადგურისკენ. ყაფანთანაც შეჯგუფებულა ხალხი,—ეტყობა ვაჭრობა ამოძრავებულა. აქა იქ ცეცხლის მქრობელთა რაზმელები საარაკო თავდადებით იბრძვიან ნანგრევთა უვარგის ნაწილებს. ფოსტის, ერობის, ქალაქის გამგეობის დაწესებულებათა კარიც გაღებულა და საქმიანობას შესდგომიან. ჩემი ნაცნობი გორის სააღმშენებლო საქმის მეთაური ფებ აკოფით მიეშურება საითკენღაც. წამოვეწიე ველაპარაკები ქალაქის მდგომარეობის შესახებ. მისი აზრით უნდა აშენდეს იაპონიის და ინგლისურ ტიპის არა სეისმურ ტიპისა არამედ ხისა და დაშორებულნი ერთი მეორისაგან ხეხილის ბაღით.

**კრებები.**

ჩემს იქ ყოფნაში შესდგა კიდევ ერობის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც დაესწრნენ ქალაქის წარმომადგენელნი და მთავრობის რწმუნებული ექიმი ზანდუკელი. უკანასკნელმა ყრილობას მოახსენა თავისი მოქმედების ანგარიში დღიდან მიწის ძვრისა. ყრილობამ გულდასმით მოუსმინა მას და მადლობა გადუხადა მთავრობას დახმარებისთვის და თვით ექიმ ზანდუკელს, როგორც უანგარო თავგანწირულ მუშაკს ამნაირ ეროვნულ უბედურების დროს.

**ფუნქციების გადაცემა**

ამავე ყრილობაზე მთავრობის წარმომადგენელმა ბ. ზანდუკელმა განაცხადა რომ ამიერიდან მთავრობის კომიტეტს თავის მისია უკვე დასრულებულად მიაჩნია ასე რომ დაზარალებულთა მზრუნველობის ფუნქციები უნდა იტვირთოს ერობამ და ადგილობრივ თვითმართველობამ. ყრილობამ გადაწყვიტა შესდგეს საორგანიზაციო კომიტეტი რომელშიაც შევლენ 2 წარმომადგენელი ერობიდან 3 წარმომადგენელი ქალაქის თვითმართველობიდან და ერთიც მთავრობიდან. ამ კომიტეტის ხელში უკვე ფაქტიურად გადავიდა გამგებლობა მზრუნველობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულებზედ.

**ახალი საავათმყოფოები**

საავათმყოფოები საწოლებით უკვე გაიხსნა სურამსა—50 საწოლით, ახალქალაქსა—20 საწოლით, ქარელში—20 საწოლით და ხაშურში—50 საწოლით. განზრახულია გახსნა საწოლიან საავადმყოფოებისა მეჯვრისხევსა და ოსიაურში.

**სომხეთის საკვები პუნქტი.**

სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს 1 მარტიდან გაუხსნია გორშივე დროებითი საკვები პუნქტი. ამ პუნქტში ყოველ დღე ასმევენ მოსულთ დაშაქრულ ჩაის და აძლევენ პურს. ყოველ დღე დაახლოებით 400-500 სული იკვებება ამ პუნქტში. ამავე პუნქტთან დაარსებულია ამბულატორია. რომელსაც განაგებს ექიმი აუშტროვი. ამბულატორიაში დღეში 150-160 ავათმყოფი ესინჯება.

**ველური ინსტიქტები**

„ოჯახი უმახინჯოთ არ იქნებაო“, ნათქვამია. ამ საერთო უბედურობის დროს ზოგიერთებს სოფლად და ქალაქადაც დღესაც ვერ გამოუფხიზლიათ სასიკეთოდ თვის მოძმისადმი. ხმები სურსათის თუ სხვა სანოვაგე საქონლის უსწორ მასწორად დანაწილებაზე მართლია დადის ხალხში და ვრცელდება სრულიად დაუმსახურებლად საქმის მეთაურთა მიმართ. რასაკვირველია, ამოდენ დაზარალებულთა კონტინგენტს შუა, საცა თითქმის 50 სოფელს საშველად ხელი აღუპყრია, ძნელია საბოლოოდ გამორკვევა, ვინ როგორ გაჭირებას განიცდის და ვინ რა შეძლებისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ პრეტენზიებს ადგილი აქვს და აქაც მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს თვით იმ სოფელს, რომელიც ვერ სცნობს ჯერ კიდევ სიდიადეს და სიმწვავეს დღევანდელ ტრაგედიისას და სრულიად შიშველს და ულუკმაპუროდ დარჩენილს უკანა რიგში სტოვებს და თვითონ შედარებით უზოუვლყოფილი მოწყალების მისაღებად პირველ რიგში სდგება. აქ რა შუაშია ან მთავრობა, ან კომიტეტი, ან საზოგადოება!

ჩემ იქ ყოფნაში ექიმ ლომაურთან მოვიდა ს. სკრიდან დელეგაცია პროტესტით, რომ მათ არ მიუღიათ ვითომც და დახმარებაო. უზომოდ გამწარებული ექიმი ამ უპატიოსნო პრეტენზიით გამოექრა სკრელებს და საბუთებით და სიებით ხელში, რომელიც შემოწმებული იყო საგანგებო კონტროლის მიერ, დაუმტკიცა, რომ სკრელებს ყველაზედ მეტი დახმარება მიუღიათ. მოძრავანთა შორის კი ბოლოს იცით ვინ აღმოჩნდა? ყველაზედ შეძლებული ს. სკრიდან, რომელსაც ყავის ქურქიც კი მიეღო და ქურქ ქვეშ კი მშვენიერ სათბილობლებით იყო გამოწყობილი ახალ წინდა ქალამნებში. ბ. ლომაური იმ ზომ აღელვა ამ საქციელმა, რომ უბრძანა ამ უსინდისო სოფლელს მყის გაეხადა ესქურქი, ნარგები უკანოხო გზით და მართლაც გახადა მას და ჩააცო სრულიად უტასთსაცმელო სოფლელს...

**დ. პავლიაშვილი**

(დასასრული იქნება)

---

რედაქტორი

„სარედაქციო კოლეგია“

გამომცემელი თბ. ვაჭ-მრ. კომიტეტი

ვეძებ

2—3 ოთახს

I, II, III ან IV უბანში

ფასს არ დავიშურებ

მაცნობეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში გრ. მაჭავარიანს.

---

ნათელი და მშრალი

შემთხვევით იყიდება საუკეთესოთ მოწყობილი

სასადილო

რომელსაც აქვს განსაკუთრებით

ღვინის დიდი ს წუ..ბი

საკუთარი ჩასასვლელით.

მისამართი: ჩურქეზიშვილის ქ. № 38

2971 3—2

№ 35 ვაჭრობა და მრეწველობა № 35

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## ემისია თუ გადასახადი?

საქართველოსთვის ფინანსიური უზრუნველობის საკითხი დაიბადა იმ წამსვე, როდესაც გამოცხადდა მისი დამოუკიდებლობა, რადგანაც იმ დროს ახალ სახელმწიფოს მთელს რესურსებს შეადგენდა მცირე თანხა რუსეთის საკრედიტო ბილეთებისა სახელმწიფო ბანკში და ხაზინებში, და აგრეთვე ემისსია ამიერ-კავკასიის ბონებისა, რომელიც მაშინ ჯერ საერთო იყო სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

ახლად დაბადებულ სახელმწიფოს დაკისრებული ჰქონდა დიდი ხარჯები ფრონტის ლიკვიდაციისა, სახელმწიფო ახალ დაწესებულებათა დაარსებისა და სხ. გარდა ამ საგანგებო ხასიათის ერთდროულ ხარჯებისა სახელმწიფოს წინ იდვა ჩვეულებრივი ხარჯები სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ორგანოთა შესანახათ.

სახელმწიფოს ბიუჯეტი მაშინ არ არსებობდა და მთავრობასთან ახლო მდგომ საფინანსო წრეებში რიცხვდიკის ბიუჯეტი გათვალისწინებული იყო დაახლოვებით—300—400 მილ. მან., საგანგებო ხარჯების გარდა.

ამ ფულით სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსის შესრულება შედარებით ადვილი იყო. შესაძლებელი იყო არა თუ სახელმწიფო ხარჯების დაფარვა, არამედ ზედმეტიც რჩებოდა თანდათანობით ბონების ოპერაციების ლიკვიდაციისთვის, რომელთა რიცხვი მაშინ საქართველოსთვის უდრიდა 300 მილ. მანეთს.

ახლად დაბადებულ სახელმწიფოს არა ჰქონია ოქროს ფონდი, არც ხაზინაში თავისუფალი ნაღდი ფული და არც დიდი შემოსავლის შემომტანი სახელმწიფო რეგალიები. სახელმწიფოს დიდი წარმოება—საქართველოს რკინის გზები—მუშაობდა ზარალით, რადგანაც იმ დროს მეფობდა ოვითნებობა და არეულობა. ხარჯების დასაფარავად სახელმწიფომ მიმართა ჩვეულებრივ წყაროებს, რომელსაც მიმართავენ ხოლმე მთელი ქვეყნის ყველა სახელმწიფონი: პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადებს, ბაჟებს, მთავრობის რეგალიებს და მონოპოლიებს.

იხდიან მოქალაქენი გადასახადს თავისი საკუთარი ჯიბიდგან ან ნიღაბ აფარებულ არა პირდაპირ გადასახადს, როგორც დამატებით ზედ მეტ ფასს ნივთებზე, რომლებზედაც დადებულია აქციზი, ბაჟი ან სახელმწიფოს მონოპოლიები,—ყველა ამ შემთხვევაში მოქალაქეთა ქონების ერთს ნაწილს ართმევს სახელმწიფო თავის სასარგებლოთ. ამიტომ, ყოველივე გადასახადი, სულ ერთია, რა ხასიათითაც უნდა ერთმეოდეს მოქალაქეთ, მათთვის უსიამოვნო აქტია, რომელსაც უნდა შეურიგდეს ძალა უნებურათ და იქონიოს მხედველობაში ის სხვა და სხვა სიკეთე, რომელსაც აძლევს სახელმწიფო თავის ხალხს.

ყოველივე გადასახადის დროს,—აქციზი იქნება იგი, ბაჟი თუ მონოპოლია,—ნივთის ფასს ემატება ერთი ნაწილი, ნივთი ძვირდება და როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, არა იმდენათ, რაც ბაჟმა მოუმატა, არამეთ ყოველთვის ზედმეტათ. ამ გარემოებას, ესე იგი საჭირო ნივთების ფასის მომატებას, საბუთათ წარადგენენ ხოლმე ყოველივე არა პირდაპირი გადასახადის წინააღმდეგ.

ასე ხდებოდა ხოლმე ყოველთვის, როდესაც ფინანსთა სამინისტრო აღძრავდა საკითხს გადასახადის სისტემის განვითარებაზე და კერძოთ პირდაპირი გადასახადის ნორმების გადიდებაზე, აქციზისა და ბაჟის მომატებაზე ან სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებაზე.

საბჭოებში და კომისიებში, მცხოვრებთა დაინტერესებულ წარმომადგენელთა თანდასწრებით, სადაც განიხილავენ ხოლმე გადასახადების კანონპროექტებს, გადასახადის წინააღმდეგნი მიმართავდნენ ხოლმე ერთსა და იმავე საბუთს: გადასახადები გამოიწვევენ იმ ნივთების გაძვირებას, რომელსაც დაედება, და ეს გამოიწვევს მცხოვრებთა უიმისოთაც გადასახადისთვის გასადებათ საჭირო თანხის შემცირებას და მოჰკლავს მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის იმ დარგებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნივთების დამუშავებასთან.

და უფრო დაუსრულებელი კამათი იყო გადასახადის ამა თუ იმ ფორმის უპირატესობაზე და მათ გავლენაზე ხალხის ჯიბეზე, მრეწველობაზე და ვაჭრობაზე, ბონების საბეჭდავი მანქანა მუშაობდა.

სახელმწიფოს უნდა ეარჩევნა უნდა გაეწია ხარჯები, და რადგანაც ხარჯების დასაფარავად სხვა წყარო არ მოიპოვებოდა, მიმართა ბონების ბეჭდვას. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ ბონების გამოცემა იგივე გადასახადია და ამასთანავე ყოველგვარ სხვა გადასახადზე უფრო მძიმე.

გადასახადების დაწესება ჯაცილებით სჯობია ბონების გამოცემას იმიტომ, რომ პირველი ოპერაცია ჰფარავს სახელმწიფო ხარჯების ნაწილს და ხელს უწყობს ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსის შესრულებას, ხოლო ქაღალდის ფულის გამოცემა აღიდებს სახელმწიფო ვალს, აშორებს გასავლის ხარჯს შემოსავლის ხარჯსა.

ბონების გამოცემა არის მალიატივი მოქმედება მისი დღე მოკლეა, და თვისი ეფექტის შესარჩენად იხოვლობს მუდმივ განმეორებას: გადასახადთა სისტემა კი საფინანსო მეურნეობის საკითხებს ხსნის არსებითად, აქვს ხასიათი დღეგრძელი და სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობას აწესრიგებს მრავალ წლისთვის.

ამ ორ ოპერაციათა შორის ყველაზე უფრო დიდი განსხვავება ის არის რომ გადასახადებისა და მონოპოლიების წყალობით ქაღალდის ფულის რაოდენობა თანდათან კლებულობს და მას შედეგათ მოსდევს სურსათ-სანოვაგის ფასის შემცირება; პირიქით, ბონების გამოცემით ქაღალდის ფულის რაოდენობა ძლიერ მალე იზრდება და ამას მოსდევს საშინელი სიძვირე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ფასები ნივთებზე რომლებზედაც დაწესებული იყო არა პირდაპირი გადასახადი, შედარებით მცირე იყო: ბოთლი კონიაკი—7 მანეთამდე, კოლოფი ასანთი 30 კაპ. პაპიროსი 25 ცალი საუკეთესო ღირსებისა ღირდა 2 მან. და სხვ.

ყოველივე ახალი ემისიის გამო ეს ფასები სწრაფათ იზრდებოდა და ამ ჟამათ ბოთლი ღვინო ღირს 30 მანეთი, კონიაკი 150 მან., კოლოფი ასანთი 3 მან., პაპიროსი უმდაბლესი ხარისხისა 20—30 მან. და სხვ. ამ გვარათ ბაჟ დადებულ ნივთების ფასმა ბონების გამოცემის გამო იმატა 1000 პროცენტამდე, ხოლო განზრახული იყო აქავე ნივთებზე ბაჟის გადიდება მათი ღირებულების 10—30 პროცენტამდე.

ბაჟ დადებულ ნივთების სიძვირესთან ერთათ გაძვირდა აგრეთვე სხვა სურსათ-სანოვაგე: ადგილობრივი ფქვილი სიმინდისა, რომელიც იყიდებოდა 1918 წლის ივლისში ფუთი 50 მანეთათ, ეხლა ღირს 400—500 მანეთამდე; ხორცის ფასმა 3 მანეთიდან აიწია 20—30 მანეთამდე, ყველი 5 მანეთიდან 60 მანეთამდე, ერბო 12 მან 150 მან. გირვანქა, შეშა 300 მანეთიდან 3000 მანეთამდე საჟენი და სხვ.

ფრიად საჭირო სურსათ-სანოვაგის სიძვირესთან ერთათ გაიზარდა აგრეთვე ხარჯები მუშა ხელისა, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეთა. მუშის დღიურმა სასყიდელმა 300 მანეთიდან აიწია 2500—3000 მანეთამდე თვეში, ხოლო მოსამსახურეების ჯამაგირი შესაფერათ გაიზარდა.

სწორედ ამიტომ გაიზარდა ხარჯები სახელმწიფოსი, რომელიც იძულებული გახდა დააჯილდოვოს თვისი მოხელენი existens minimum ით, დაფაროს დაწესებულებათა ხარჯები და შეინახოს ჯარები,—და ეს მოითხოვდა ბონების სულ ახალსა და ახალს გამოცემას. ქაღალდის ფულის მრავალ ემისიას შედეგათ ის მოჰყვა, რომ ჯამი ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავლის ბალანსისა უფრო მეტათ დაშორდა გასავლის ბალანსის ჯამს და ბიუჯეტის დეფიციტმა მიაღწია მეტად დიდს რაოდენობას.

სიძვირემ თვით სახელმწიფოში მაშინვე იქონია გავლენა საზღვარ-გარეთის ვალიუტაზე, რომელიც განუწყვეტლივ იზრდებოდა და იქამდე მიაღწია, რომ გირვანქა სტერლინგი ეხლა ღირს 1000 მანეთამდე, ფრანგული ფრანკი 33 მან., იტალიის ლირა—20 მანეთამდე, დოლლარი 250 მანეთამდე. და ყოველივე ეს ჩაიდინა მილიარდმა ქაღალდის ფულისამ, რომელიც დაიბეჭდა წლინახევრის განმავლობაში.

წლინახევრის წინათ საჭირო იყო უფრო გაბედული ზომების მიღება ბონების გამოცემის მოსასპობათ და გამონახვა საზოგადო კანონიერ წყაროებისა სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ეშინოდათ ფასის აწევისა 10—30 პროცენტამდე, ეშინოდათ მცხოვრებთა შეძლების შემცირებისა, ეშინოდათ ჩაეკლათ ასაღორძინებელი მრეწველობა, დაერღვიათ პრინციპი თავისუფალი ვაჭრობისა (საბუთი, რომელიც მოჰყავდათ მონოპოლიის წინააღმდეგ.)

გადასახადის პრესის მავიერად წლინახევრის განმავლობაში აამუშავეს ბონების საბეჭდი მანქანა. ამან აწია ზარის ფასი სურსათ-სანოვაგისა შეუბრალებლად დამატებითი 1000 პროცენტიანი ფასი გარდაიქცა საერთო გადასახადათ, რომლის ტვირთი შეიქმნა, სასტიკი, უსამართლო და არ ნაზული, არ ეგვონილი.

ეს გადასახადი უნდა გადიხადონ გაღარიბებულმა მოქალაქეებმა, ხაზინელ პირობებში უნდა არსებობდეს ჩვენი ახალი მრეწველობა და განვითარდეს სასოფლო-მეურნეობა.

წლინახევრის გამოცდილება ბონების ბეჭდვისა, საკმაოდ ამტკიცებს, რომ საჭიროა თავი დავანებოთ გადასახადების მომატების შიშს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბაჟ-დადებულ ნივთების ფასს მაშინვე უმატებს, საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ გადასახადების შემოუღებლობისა გამო ცოტა ხნის შემდეგ ვარდება უფრო მეტი სიძვირე ბონების საბეჭდავი მანქანის მუშაობისაგან და ამ მანქანის გაძლიერებული მოქმედება ხდება აუცილებლად სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად. თავის დროზე გამოყენება საგადასახადო რესურსებისა, თუ არ გადასცილდა მცხოვრებთა სახსარს, საკმარისათ შეამსუბუქებდა ეხლანდელს საფინანსო კრიზისს, რომელიც გამოწვეულია ქაღალდის ფულის შეუწყვეტელი მდინარით.

იმ ზარალის გარდა, რომელიც მოსდევს ქაღალდის ფულის უზომო გამოცემას, საჭიროა მიექცეს ყურადღება იმ გამხრწნელ გავლენას, რომელიც ახდენს ეს სისტემა ხალხზე, და მისი საზარალო მოქმედება მრეწველობისა და ვაჭრობის დარგებში.

არავითარი მრეწველობის განვითარება ნორმალურად არ შეიძლება, თუ ფულის კურსი ერთ დონეზე მკვიდროთ არა სდგას, და მით უფრო მაშინ, როდესაც ეს დაუდგომლობა მეტად ცხადია და ერთი და იგივე მიმართულება აქვს.

ნივთები, რომელიც მუშავდება დღეს, კეთდება იმ მასალისაგან, რომელიც ნაყიდია რამდენიმე თვის წინად, შეიძლება, რამდენიმე წლის წინათაც. მასალის დამუშავება სწარმოებს იმ იარაღითა და მანქანებით, რომელთა უმთავრესი ნაწილი შეძენილია დიდი ხნის წინათ და თვით ქარხნები და ფაბრიკები, სადაც მუშაობა სწარმოებს, გაშენებულია რამდენიმე ათისა ან ასის წლის წინათ.

გარდა ამისა, მრეწველობის წარმოებისათვის აუცილებლათ საჭიროა კრედიტი, რომლის პირობები მეტათ გამოურკვეველია იმის გამო, რომ ფულის კურსი ცვალებადია; ნივთების ფასისთვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ფასს, რომელიც სიძვირისა გამო ძლიერ იცვლება; მრავალსობა დღეს დამზადებულ ნივთებისა გაიყიდება მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ და ყოვლად შეუძლებელია ითქვას, როდის გაიყიდება; და უფრო ძნელია იმის გათვალისწინება—როგორი კურსი იქმნება იმ დროს ქაღალდის ფულისა, რადგანაც არვინ იცის, რამდენი ქაღალდის ფული გამოიცემა იმ დრომდე. ამას თუ დავუმატებთ მრავალ წვრილმან პირობებს თითოეულ წარმოებისას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ფულის საკითხთან და გავლენა აქვთ ნივთის საბოლოო ფასზე, უნდა დავეთანხმოთ მრეწველობის წარმომადგენლებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი მუშაობა ეხლა იავთია, რომ დღეს არ იციან, ხვალ რა მოხდება, რომ ეხლა შეუძლებელია არა თუ წესიერი კალკულაცია, არამედ ყოვლად შეუძლებელია რისამე გამორკვევა და გათვალისწინება.

ბონების წლინახევრის მეფობის დროს ფულის ფასმა ერთი ასათ მაინც დაიწია და ეწინდელი მანეთი ეხლა ერთ კაპეიკს ძლივს უდრის. კაცს ეგონება, რომ ეს არც თუ დიდი უბედურებაა, რადგანაც განა სულ ერთი არ არის ფულს მანეთობით ვიანგარიშებთ თუ კაპეიკობით.

ნამდვილათ კი ეს ასე არ არის, რადგანაც სავაჭრო საქმეში კრედიტს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მრეწველობაში; უკეთ რომ ვსთქვათ, მსხვილი ვაჭრობა წარმოებს კრედიტის შეწყობით.

ვსთქვათ, წლინახევრის წინათ ვაჭარმა ისესხა ათასი მანეთი და ამ ფულით იყიდა საქონელი, სულ ერთია, რა საქონელიც იყოს. წლინახევრის შემდეგ ეს საქონელი გაყიდა, მაგრამ ათას მანეთათ კი არა, არამედ ათი ათას მანეთათ, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ფასებმა ერთი ათათ აიწია. განაღდებული ფულიდან ვაჭარმა გადიხადა ვალი—1000 მან. და კანონიერი სარგებელი (12 პროც.), რაც შეადგენს წლინახევარში 180 მანეთს; შემდეგ გადიხადა საქონლის შესანახი და დასაზღვევი, ვსთქვათ, იმდენივე, რაც სარგებელია და დარჩა წმინდა მოგება 8640 მან. რაც შეადგენს 576 პროც. წლიურს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს სპეკულიაციაა, ე. ი. მოქმედება საძრახისი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში და დასაგმობი საზოგადოებრივის აზრით.

ხოლო თუ ვაჭარი უფრო გამოცდილია და იყიდა მაგალითად სახსურსათო სანოვაგე, ან კიდევ უცხოელი ვალიუტა, რომელსაც არა თუ არა სჭირდება შესანახი ან დასაზღვევი ხარჯი, არამედ მიიღება ყველა ბანკში, რომელიც სარგებელსაც კი იძლევა, მაშინ ვაჭარი მოიგებს 576 პროც. კი არა არამედ ერთი ასათ მაინც მეტს. ეს რა თქმა უნდა, უფრო დიდი სპეკულიაციაა, და რადგანაც ამ სპეკულაციას მოაქვს წელიწადში ათასი პროცენტი მაგიერ 20 პროც. სა, რომელსაც იძლევა წესიერი და სინდისიერი ვაჭრობა, აშკარაა, რომ წესიერი ვაჭრობა ალარავისა სურს და ვისაც თავისუფალი ფული აქვს, აბანდებს სპეკულიაციას, რომელიც ეტანება მცხოვრებთათვის უფრო საჭირო საგნებს: სურსათ სანოვაგეს, ფეხსაცმელსა და ტანთსაცმელს, შეშას ნახშირს და სხვ.

მოქმედება ამგვარ ვაჭრებისა, რომელთაც უწინ არავითარი კავშირი არა ჰქონდათ ვაჭრობასთან და არც გროში ფული ჯიბეში, და ეხლა კი დიდ ფულს იგებენ, თანდათან ზრდის ფულის სარგებელს და ბანკებს გარდა ჰბადავს მრავლავთ უკანონო გამსესხებელ კასსებს, სადაც ფულის სესხება შეიძლება მხოლოდ მევახშურ სარგებლით.

ამგვარათ, სახელმწიფოს მეურნეობა დამყარებული ქაღალდის ფულის გამოცემაზე, უთხრის საძირკველს მეურნეობას, ხოლო სავაჭრო საქმეშიაც მცხოვრებლებს აჩვევს ისეთ მოქმედებას, რომლის წინააღმდეგ საჭირო იქნება სასტიკი კანონების გამოცემა.

ეხლა არ არის ძნელი პასუხის გაცემა საკითხზე: რა უფრო სასურველია—ემისია თუ გადასახადი?

**ეკონომისტი.**

## თანამედროვე მდგომარეობა მარგანეცის მრეწველობისა

წერილი მეოთხე

(დასასრული)

ამ მცირე წინასიტყვაობის შემდეგ მოვიყვანთ ციფრებს მარგანეცის გაზიდვისა და დამუშავების შესახებ დღიდან მისი დაწყებისა, ე. ი. 1879 წლიდან.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1879 წ. | — 51.000 | 1889 | — 3.947.000 | 1899 | — 30.223.000 | 1909 | — 35.088.672 |
| 1880 | — 254.000 | 1890 | — 8.010.000 | 1900 | — 32.037.000 | 1910 | — 39.635.677 |
| 1881 | — 520.000 | 1891 | — 5.616.000 | 1901 | — 21.625.000 | 1911 | — 37.310.747 |
| 1882 | — 545.000 | 1892 | — 9.086.000 | 1902 | — 31.177.892 | 1912 | — 55.834.409 |
| 1883 | — 920.000 | 1893 | — 8.833.000 | 1903 | — 29.952.646 | 1913 | — 6[illegible].827.266 |
| 1884 | — 1.276.000 | 1894 | — 8.618.000 | 1904 | — 33.215.067 | 1914 | — 43.652.902 |
| 1885 | — 2.756.000 | 1895 | — 10609000 | 1905 | — 21.466.494 | 1915 | — 540.000 |
| 1886 | — 3.824.000 | 1896 | — 11938000 | 1906 | — 30.895.905 | 1916 | — 1.862.148 |
| 1887 | — 4.780.000 | 1897 | — 12135000 | 1907 | — 33.530.547 | 1917 | — 359.160 |
| 1888 | — 1.867.000 | 1898 | — 17295000 | 1908 | — 24.683.212 | 1918 | — 2.095.250 |

სულ 40 წლის განმავლობაში საზღვარ გარეთ გაუტანიათ 684.153.294 ფუთი მარგანეცი. ამ ცხრილს თუ დაუკვირდებით დავინახავთ, რომ მარგანეცის გაზიდვა ერთგვარი ნორმალური გზით არ ვითარდებოდა. პირველი ცხრა წლის განმავლობაში თითქოს ნორმალურათ ვითარდება და 51.000 ფუთიდან თითქმის ხუთ მილიონამდის აღწევს, ხოლო 1888 წელში გაზიდვა უეცრათ ეცემა, შემდეგ წლებში ხელმეორეთ იწყება ზრდა მარგანეცის ექსპორტისა და 1898 წელს აღწევს თითქმის ცხრა მილიონს. 1894 წლიდან იწყებს ჭიათურის რკინის გზა მუშაობას. ამ მოვლენას დიდი განმავითარებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მარგანეცის გაზიდვის განვითარებაზე; მაგრამ ნამდვილად გაზიდვა ვითარდება ზანტად. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ რკინის გზას თან დაჰყვა განსაკუთრებითი ტარიფი, მეტათ დიდი, რაც საშუალებას აძლევდა მეურმეებს მეტოქეობა გაეწიათ რკინის გზისთვის; ამას ის გარემოებაც ერთვის თან, რომ პირველ ხანებში ჭიათურის გზას არ ჰქონდა საკმაო ვაგონები და ორთქლმავალნი. ეს გარემოება იყო მიზეზი იმ აუარებელი დამზადებული მარგანეცის დაგროვებისა, რომელიც წლობით ეწყო და დღესაც აწყვია ჭიათურისა და ფოთის საწყობებში. ჭიათურის რკინის გზას შეეძლო მიეცა მრეწველობისათვის მხოლოდ ორმოცი ორმოცდაათი ვაგონი დღეღამეში, ხოლო მოთხოვნილება თითქმის სამასსა და ოთხასს უდრიდა. ეს მოვლენა თავის მხრით ხელს უწყობდა ვაგონების სპეკულიაციას, რომელიც გაჩნდა 1905—1908 წლებში. 1894 წლიდან 1900 წლამდის მარგანეცის გაზიდვა თუმცა ნელა, მაგრამ მაინც საკმაოდ საფუძვლიანად იზრდება და აღწევს ამ წელიწადში 32 მილიონ ფუთამდის, ხოლო რკინის გზის უმწეობის გამო ერთი მხრით, მეორე მხრით დიდი ტარიფის მიზეზით, და მესამე—ინდოეთის მარგანეცის წარმოების განვითარების გამო ჭიათურის მარგანეცის გაზიდვა მთელი ათი წლის განმავლობაში შეჩერებულია. სწორეთ ეს ხანა იყო რომ ჭიათურის მარგანეცმა დაჰკარგა ის მდგომარეობა, რომელიც მას ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე და ამის მიზეზი კი იყო წინდაუხედაობა და უყურადღებობა რკინის გზის ადმინისტრაციისა ერთის მხრით, და უდიდესი ტარიფი—მეორე მხრით. ხოლო როდესაც რკინის გზის ადმინისტრაციამ მარგანეცის გაზიდვას ერთ წერტილზე შეჩერებამ ყური აცქვიტინა და მთავრობა იძულებული შეიქნა ტარიფისათვის დაეკლო, რაც მოხდა 1909—1910 წლებში, მარგანეცის გაზიდვამ ერთბაშათ იმატა და რაღაც ხუთი წლის განმავლობაში თითქოს გასამკეცდა. მაგრამ მსოფლიო ომმა მოუსწრო 1914 წლის მეორე ნახევარში და დარდანელის დაკეტვამ მარგანეცის გაზიდვა შესწყვიტა. ის ცოტაოდენი მარგანეცი, რომელიც ომის დროს გადიოდა, გადიოდა მხოლოდ რუსეთით ან ვლადივოსტოკის მიმართულებით, ან კიდევ არხანგელსკით ინგლისში. 1916 წლის გაზიდვა სავსებით არ არის ნაჩვენები. ამ წელს რკინის გზით გატანილ იქნა თუთხმეტ მილიონზე მეტი, ხოლო ზღვით 1.862.448 ფუთი იყო წაღებული, ისიც რუსეთისათვის. 1918 წელს ორი მილიონი ფუთი გერმანელებმა წაიღეს ზღვით და დუნაით. 1919 წლის გაზიდვა ზღვით ძალიან მცირე იყო ხოლო რკინის გზით ფოთში გადაზიდნა—2.025.895 ფუთი. თვიურათ ეს გაზიდვა ნაწილდება ასე: იანვარში, თებერვალში, მარტში და მაისში გატანა არ ყოფილა, აპრილში გაუტანიათ 1000 ფუთი, ივნისში 241.000 ფ., ივლისში—206.750 ფ., მარიამობისთვეში 343.000 ფ. ენკენისთვეში—194.750 ფ., ოქტომბერში 452.750 ფ., ნოემბერში 413.145 ფ., და დეკემბერში 173.500 ფ.—სულ 2.025.500 ფ.

საერთოთ მარგანეცის გაზიდვას კარგი პირი უჩანს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიმდინარე მეორე წელიწადში მარგანეცის გატანა შესამჩნევად იმატებს. თუმცა დღევანდელ პირობებში ძნელია მუშაობის დაწყება, ვინაიდგან მაღაროები და ქარხნები დიდს შეკეთებას მოითხოვენ ამდენი ხნის განმავლობაში უქმად ყოფნის გამო, მაგრამ თუ რკინის გზამ ხელი შეუწყო მრეწველობას და შესძლო გაზიდვა იმდენი საქონლისა, რაც მოთხოვნილი იქნება, ამ წელიწადში საკმაო იქნება ის დამზადებული ქვა, რომელიც მრეწველთ ჭიათურისა და ფოთის საწყობებზე აქვთ. რაოდენობა დამზადებული მარგანეცისა საქართველოს ტერიტორიაზე უდრის თითქმის 57—58 მილიონ ფუთს. ამის გაზიდვას კი ჩვენი რკინის გზა ერთ წელიწადს ვერ შესძლებს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი დღეს არის. ამ დროის განმავლობაში კი მიუცილებელი საჭიროება არის მაღაროებში რკინის გზის შტოების გაყვანა მოესწროს, უამისოთ მარგანეცის მაღაროებში დამზადებას არავითარი აზრი არ ექნება, რადგან ქარხნებიდან და მაღაროებიდან რკინის გზის ლიანდაგამდის მარგანეცის ტრანსპორტი მეტად გაძვირდება და საქონელს მეტად გააძვირებს. დღევანდელს ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც მსოფლიო ბაზარი დაკარგული გვაქვს ომის მიზეზების გამო, ბაზრის დასაბრუნებლად და იქ სათანადო ადგილის დასაკავებლად ჩვენ მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რაც შეიძლება იაფათ დავისვათ საქონელი ეხლანდელზე და უფრო იაფად გავყიდოთ რათა მსოფლიო ბაზარი ხელში ჩავიგდოთ; მეორე მხრით თვით ჩვენი ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა გვკარნახებს მეტი საქონლის გაზიდვის საჭიროებას; ამ გარემოებას სხვა სარგებლობაც შეუძლიან მოგვიტანოს: საქმე იმაშია რომ ჩვენში მარგანეცის მონოპოლია არის შემოღებული, ამ მონოპოლიას უდიდესი შედეგები მაშინ მოჰყვება ჩვენთვის, თუ მონოპოლისტები სინდიკალურ ხელშეკრულებაში შევლენ უცხოელთა მარგანეცის მრეწველებთან. ეს უკანასკნელნი კი მაშინ გაუწევენ ანგარიშს ჩვენს მარგანეცს და მათ მწარმოებელთ, თუ აქაური მარგანეცი მათთვის საშიშ მეტოქეს როლში გამოვა. ამას კი შესძლებს ჩვენი მარგანეცი, თუ ის უფრო იაფათ გავა მსოფლიო ბაზარზე ვიდრე სხვებისა. ხოლო გაიაფება ჩვენი მარგანეცის დამუშავებისა, ტრანსპორტისა და ექსპორტისა შესაძლებელია მხოლოდ ტეხნიკური გაუმჯობესებით, რაიც შესაძლებელია, თუ საკმაო ყურადღება ექნება ამ საქმეს მიპყრობილი.

**Tertius.**

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.